იმედი ვერ გაამართლეს

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 29 სექტემბერი.

“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 4:1 (1:0).

მოსკოვი: პილგუი, ბასალაევი, ნიკულინი, კომაროვი, დოლბონოვსკი, ჟუკოვი, კურნენინი (პეტრუშინი), დოლმატოვი, კოჟემიაკინი, მახოვიკოვი, ევრიუჟიხინი.

თბილისი: გოგია, ებრალიძე, კანთელაძე, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (ყიფიანი), გ. ნოდია, ლ. ნოდია (წერეთელი).

მსაჯი: მ. რუბენისი (რიგა).

დუბლიორები – 4:1 (პენალტებით. ძირითადი დრო 0:0).

ამ ბოლო ხანს თბილისელებმა ფეხბურთის ქომაგების განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს. ხუმრობა ხომ არაა, ზედიზედ სამ მატჩში მათ ოთხ–ოთხი გოლი გაიტანეს, თვითონ კი მხოლოდ ერთი მიიღეს. მოსკოველებთან შეხვედრის წინ ვფიქრობდით, რომ თბილისელები ამჯერადაც შეუპოვრად იბრძოლებდნენ, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, პირველი ტაიმი ერთმა გუნდმაც და მეორემაც მეტისმეტად დინჯად და პასიურად ჩაატარა. ვერც ერთი მხარე ვერ ბედავდა ბრძოლას. ამას დავუმატოთ, რომ თბილისელთა თამაშში ზედმეტი ფუსფუსი უფრო იგრძნობოდა, ვიდრე გამიზნული მოქმედება, და ცხადი გახდება, რომ შეხვედრის სანახაობრივი მხარე საკმაოდ დაბალი იყო. მართალია, თამაშის დასაწყისში გუცაევმა, მაჩაიძემ და ასათიანმა რამდენიმეჯერ ძლიერად დაარტყეს კარში, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. მატჩის მე–40 წუთზე დოლმატოვმა 25 მეტრიდან დაარტყა თბილისელთა კარისკენ. გოგიას აღრე მოუვიდა ნახტომის გაკეთება, ბურთი მის ახლოს დაეცა, ასხლტა და ბადეში გაეხვია.

შესვენების შემდეგ თბილისელთა იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, 48–ე წუთზე მოსკოველმა მახოვიკოვმა იმარჯვა და თავური დარტყმით ანგარიში 2:0–მდე გაზარდა. მერე მდგომარეობის ბატონ–პატრონი მასპინძლები იყვნენ. მე–60 წუთზე კოჟემიაკინმა აიღო თბილისელთა კარი, 78–ე წუთზე – პეტრუშინმა. ერთადერთი საპასუხო გოლი ყიფიანმა გაიტანა 82–ე წუთზე.

ამ მატჩში თბილისელთა მეკარე გოგიამ ჩვეული ოსტატობა ვერ გამოავლინა.

ვ. პავლოვი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

“ლელო”, 2 ოქტომბერი, 1973 წ.